

ჩამოთვლილი სტრუქტურები კარგი ბაზა და მაგალითია მეგობრული, გამჭვირვალე და არა-კორუმპირებული მმართველობისა, ამასთან საჭიროდ მივიჩნევთ ჩამოყალიბდეს „ანტიკორუფციული საბჭო“, შესაძლებელია ეს მოხდეს ამ გეგმის ფარგლებში გათვალისწინებული „მონიტორინგის კომიტეტის“ ბაზაზე, ან მის პარალელურად.

ცალკე უნდა აღინიშნოს სოფლის მეურნეობის საკონსულტაციო-საინფორმაციო ცენტრი, რომელიც ახდენს ფერმერული მეურნეობებისა და მათ ბაზაზე შექმნილი კოოპერატივების ინფორმირებას, კონსულტირებასა, შესაბამისად აგრარულ სფეროში ბოლო 5 წლის გამოცდილებით არსებობს ხელისუფლებისა და მეწარმეთა ურთიერთობისა და ურთიერთნდობის გარკვეული პრაქტიკა, რომელიც პოზიტიურ შედეგებსაც იძლევა, თუმცა საკაოდ ვიწრო ჭრილში. უკეთესი მდგომარეობის მიუხედავად მიგვაჩნია, რომ აგრარულ სფეროშიც არსებობს პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების ამაღლების საჭიროება; ნოვაციებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების შესახებ ინფორმირების აუცილებლობა; იურიდიული, საგადასახადო და ფინანსური საკითხები, ასევე საკითხები ბაზრის შესწავლის, საექსპორტო შესაძლებლობების შეფასებისა თუ ათვისების თემებზე, რაც ამ მიმართულებით საქმიანობის გაღრმავება-გაფართოებას და განახლებას საჭიროებს.

6.4. წვდომა ფინანსებზე

ზესტაფონის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს რამდენიმე ძირითადი ბანკის ფილიალი და ათამდე მიკროსაფინანსო ინსტიტუტი, რომლებიც ბიზნესსა და კერძო მეწარმეებს სხვადასხვა ტიპის საბანკო პროდუქტს თავაზობენ, მათ შორის როგორც არსებული ბიზნეს საქმიანობის გასაფართოებლად, ასევე ახალი ბიზნესის დასაწყებად. მიუხედავად ამისა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომლის წინაშეც არიან კერძო სექტორის წარმომადგენლები, რასაც ისინი მუდმივად აღნიშნავენ, არის ფინანსებზე დაბალი ხელმისაწვდომობა, რაც ძირითადად გამოწვეულია საბანკო სერვისებზე მაღალი პროცენტებით, (ამასთან თითქმის არაა საშელავათო პერიოდი), საბოლოოდ კი მათ მიერ მიწოდებული მომსახურეობა სათანადოდ ვერ უწყობს ხელს ადგილობრივი ბიზნესის განვითარებას.

ბანკების ალტერნატივად, შეიძლება ცალკეულ შემთხვევებში, ადგილობრივი მეწარმეები სარგებლობენ სახელმწიფოს მიერ წარმოებული სხვადასხვა სახის პროექტებით, რომლებიც ხელმისაწვდომს ხდის ფინანსებს, ეს პროექტებია: „აწარმოე საქართველოში“, „დანერგე საქართველოში“ და სხვა, თუმცა ხელმისაწვდომობა ამ რესურსებზეც შეზღუდულია.

არსებობს შესაძლებლობა სხვადასხვა საერთაშორისო დონორებისაგან სესხებისა და გრანტების მიღებისა, თუმცა ეს მიმართულება არც თუ ბევრი მეწარმისათვისაა ცნობილი და გამოყენებული.

სხვა ალტერნატიული წყაროების მოძიება კი მეწარმე-სუბიექტებს უჭირთ.

ამ დროს დამატებითი შესაძლებლობა იქნებოდა ადგილობრივი მუნიციპალიტეტი, მაგრამ არასაკმარისი რესურსებისა და გაუმართავი კანონმდებლობის გამო, როგორც წესი ის ვერ თავაზობს კერძო სექტორს ალტერნატიულ შესაძლებლობებს.

ამ მდგომარეობიდან გამომდინარე, შეიძლება განხორციელდეს მეწარმეებსა და დაინტერესებულ პირებზე კონსოლიდირებული ინფორმაციის მიწოდება, - საბანკო და მიკროსაფინანსო ინსტიტუტების პროდუქტებისა და სხვადასხვა შეღავათების, ეროვნული დონეზე საწარმოს მხარდამჭერი პროგრამების და საერთაშორისო დაფინანსების მექანიზმების /სხვადასხვა ტიპის გრანტების მოძიება/ის ინსტრუმენტები/) შესახებ, ასევე გაეწიოს მომსახურება მათი მიღების პროცესში.